ასირიოლოგია (Assyriology)

MA

სავალდებულო კურსები
(Compulsorily courses)

1. *სპეკურსი ხეთურ რელიგიაში*
   Special course in Hittite Religion

კურსის მსვლელობისას სტუდენტები გაეცნობიან და თარგმნიან ხეთურ რელიგიურ ტექსტებს, რომლებშიც უმეტესად აღწერილია მეფის სასახლეში ჩატარებული რიტუალები. აღნიშნული ტექსტები შესაძლებელია აირჩეს მაგისტრანტის ინტერესთა სფეროდან გამომდინარე.

2. *ძველი წინა აზიის პალეოგრაფია*
   Paleography of Ancient Near East

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ძველი წინა აზიის პალეოგრაფიის ძირითად ნიმუშებს, რომლებიც ლურსმული დამწერლობითაა შესრულებული. მაგისტრანტები გაეცნობიან ფირფიტების ფორმატებსა და საბეჭდავებს, რაც მათ სისტემურ ცოდნას მისცემს შუმერული, აქადური და ხეთური დამწერლობების საფუძვლიანად შესწავლაში.

3. *სპეკურსი ძველი წინა აზიის ისტორიაში*
   Special course in the history of the Ancient near East

კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის და დაამუშავებს შუამდინარეთის (ბაბილონის და ასურეთის) წერილობით წყაროებს და არქეოლოგიურ მასალას პერიოდების შესაბამისად; გაანალიზებს შუამდინარეთის ისტორიულ- კულტურულ კონტექსტს.

4. *სპეკურსი ძველი წინა აზიის ხელოვნებაში*
   Special course in Ancient near Estern Art

კურსის მსვლელობისას სტუდენტი საფუძვლიანად შეისწავლის წინა აზიის ხელოვნების 6 ძირითად ეტაპს, რომელიც მოიცავს მთლიანად ძველაღმოსავლურ პერიოდს და ემყარება შუმერულ-ბაბილონურ ნიმუშებს.

5. *სპეკურსი ძველი წინა აზიის ლიტერატურაში 1*
   Special course in Ancient near East Literature 1

კურსი შეისწავლის სამხრეთ შუამდინარეთის (ბაბილონის) და ჩრდილოეთ შუამდინარეთის (ასურეთის) სამეფოების ლიტერატურას პერიოდების მიხედვით. ლექციებზე სტუდენტები გაეცნობიან ლიტერატურული ტექსტების ტრანსლირებულ ვარიანტებს და გაარჩევენ შესაბამის თარგმანებს (შუმერ მეფეთა ეპიკური ნიმუშები, ანზუს მითოსი, ეტანას მითოსი, ენხედუანას პოეზია, ინანა და დუმუზის ყველა ვერსია-კრამერის რედაქციით).

6. *სპეცკურსი ძველი წინა აზიის ლიტერატურაში 2*
   Special course in Ancient near East Literature 2

ლექციების კურსი ძირითადად აგებულია გილგამეშის ეპოსის ძველაღმოსავლურ ვერსიებზე, რომელიც ამთლიანებს შუამდინარული ლიტერატურის ათასხუთასწლოვან ტრადიციას. სტუდენტი გაეცნობა ეპოსის გამოძახილებს აქადურ ლიტერატურაში, რაც საშუალებას მისცემს, გაიაზროს შუამდინარეული ცივილიზაცია ძველაღმოსავლურ პერიოდში (ძვ.წ. III-II-I ათასწლეულები).

7. აქადური ტექსტები 1
   Akkadian texts 1

კურსის ფარგლებში სტუდენტები აგრძელებენ ბაკალავრიატში დაწყებული ცოდნის გაღრმავებას აქადური ლურსმული დამწერლობით შესრულებული სხვადასხვა სახის ტექსტის კითხვით, მათი ტრანსლიტერირებით, თარგმნითა და გრამატიკული ანალიზით. მაგისტრანტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ ძვ. წ. III-II ათასწლეულების აქადურ წყაროებს და შეძლებისდაგვარად, ორიგინალში წაიკითხონ ისინი.

8. აქადური ტექსტები 2
   Akkadian texts 2

მაგისტრანტები გაეცნობიან აქადურ ენაზე შესრულებულ სხვადასხვა ჟანრის (ისტორიული, იურიდიული, ლიტერატურული თუ რელიგიურ) წყაროებს. ტექსტები შეირჩევა იმის მიხედვით, თუ რა მიმართულებით აპირებს მაგისტრანტი თავისი კვლევის წარმართვას.

9. *შუმერული ტექსტები 1*
   Sumerian texts 1

კურსი მიზნად ისახავს დახვეწოს სტუდენტის მიერ ბაკალავრიატში შესწავლილი მუშაობის ჩვევები და ოსტატობა სხვადასხვა სირთულის შუმერულენოვანი ლურსმული წყაროების ტრანსლიტერაცია-თარგმანის მომზადების მიმართულებით,

რათა კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტს შესაძლებლობა მიეცეს დაუბრკოლებლად წაიკითხოს ნებისმიერი სიძნელის შუმერული ტექსტი.

10. შუმერული ტექსტები 2
Sumerian texts 2

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები აგრძელებენ შუმერული ტექსტები 1–ის კურსს სხვადასხვა სირთულის შუმერულენოვანი ლურსმული წყაროების ტრანსლიტერაცია-თარგმანის მომზადების მიმართულებით. მეცადინეობის პროცესში მოხდება ურთულესი შუმერული ლიტერატურული ხასიათის მასალის დამუშავება და ანალიზი.

11. ხეთური ტექსტები 1
Hittite texts 1

კურსის ამოცანაა მაგისტრანტებმა ენობრივად, სტილისტურად და შინაარსობრივად დაამუშაონ ხეთური ლურსმული დამწერლობით შესრულებული ძველი, შუა და ახალი სამეფოს პერიოდის (ძვ. წ. XVII-XII სს.) "სამეფო ანალები" და ჩამოიყალიბონ საკუთარი თვალსაზრისი ისტორიული წყაროს ამ თავისებურ ფორმაზე. შედეგად, სტუდენტს თავისუფად უნდა შეეძლოს ხეთური ტექსტების ტრანსკრიბირება, ტრანსლიტერირება, ლექსიკონთან დამოუკიდებელი მუშაობა და თარგმნა.

12. ხეთური ტექსტები 2
Hittite texts 2

კურსის გავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს ღრმა ცოდნას ხეთური ისტორიული ტექსტების შესახებ. იგი თავისუფლად, ლექტორის გარეშე, შეძლებს სხვა მსგავს ისტორიულ ტექსტებზე მუშაობას, ტექსტების კომენტარების გაკეთებასა და სამეცნიერო ლიტერატურის გარჩევას. მომავალში მას გაუადვილდება სხვა მსგავს ძველაღმოსავლურ ისტორიულ ტექსტებთან მუშაობა, ვინაიდან უკვე ეცოდინება მათი დამუშავების მეთოდი.

13. წინა აზიის არქეოლოგია 1
Archeology of Near East 1

(კურსის ანოტაცია იხილეთ არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

14. წინა აზიის არქეოლოგია 2
Archeology of Near East 2

(კურსის ანოტაცია იხილეთ არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

შენიშვნა

ასირიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ევალებათ მხოლოდ შუმერული, ან ხეთური ტექსტების სრული კურსის გავლა.

არჩევითი კურსები
(Optional Courses)

1. *არაბული ენა*
   Arabic Language

კურსი ითვალისწინებს მისცეს მაგისტრანტს ბაზისური ცოდნა არაბული ენის სისტემაზე, კერძოდ, სტუდენტები შეისწავლიან არაბულ ანბანს, გრამატიკის საფუძვლებს, სიტყვათწარმოებას, ძირითად მორფოლოგიურ კატეგორიებს, სინტაქსის ელემენტებს, სასტარტო ლექსიკას, გამოიმუშავებენ არაბულად წერა-კითხვისა და არაბულ ტექსტზე ლექსიკონის დახმარებით დამოუკიდებლად მუშაობის უნარებს.

2. *სირიული ენა*
   Syriac Language
   (კურსის ანოტაცია იხილეთ არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

3. *ებრაული ენა*
   Hebrew language
   (კურსის ანოტაცია იხილეთ არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

4. *სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკა*
   Comparative Grammar of the Semitic languages
   (კურსის ანოტაცია იხილეთ არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

5. *ებრაული და არამეული ენების ისტორიული გრამატიკა*
   Historical Grammar of the Hebrew and Aramaic languages

(კურსის ანოტაცია იხილეთ ებრაულ–არამეული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

6. *არამეული პალეოგრაფია და ეპიგრაფიკა*
   Aramaic Paleography and Epigraphy
   (კურსის ანოტაცია იხილეთ ებრაულ–არამეული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

7. *პრეისტორიული ხანის მხატვრული ხელოსნობა*
   Artistic Craft of the Prehistoric Period
   (კურსის ანოტაცია იხილეთ არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

8. *ბიბლიის (ძველი აღთქმა) იატორიულ–კულტურული კონტექსტი, ძველი პალესტინა და მეზობელი კულტურები*
   The Historical –Cultural context of the Bible (The Books of Old Testament); The Ancient Palestine and neighboring Cultures
   (კურსის ანოტაცია იხილეთ ინტერკულტურული კვლევები ძველ და შუა საუკუნეებში – სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

9. *მახლობელი აღმოსავლეთისა და მედიტერანული სამყაროს კულტურების მოდელები; ძველი სახელმწიფოებისა და ცივილიზაციების განვითარება*
   The cultural models of Ancient Near East and Mediterranean World; Evolution of the Ancient States
   (კურსის ანოტაცია იხილეთ ინტერკულტურული კვლევები ძველ და შუა საუკუნეებში – სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)